შპს „ბომს“

ს.ნ. 200267040

2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი


ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ანგარიშგებაზე 3

ფინანსური ანგარიშგება 4

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 4

მოგება-ზარალის ანგარიშგება 5

საკუთარი კაპიტალის ანგარიშგება 6

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 7

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 8

1. ზოგადი ინფორმაცია 8

2. მომზადების საფუძველი 8

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 8

3.1 ფული და ფულის ექვივალენტები 8

3.2 სავაჭრო მოთხოვნები 9

3.3 მარაგები 9

3.4 ძირითადი საშუალებები 9

3.5 მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები 10

3.6 მიღებული ავანსები 10

3.7 საგადასახადო ვალდებულებები 10

3.8 დარიცხული ვალდებულებები 11

3.9 გრძელვადიანი ვალდებულებები 11

3.10 შემოსავლის აღიარება 11

3.11 ხარჯების აღიარება 11

3.12 შრომის ანაზღაურება 11

4. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები 11

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც უტყუარად და სამართლიანად ასახავს შპს „ბომს"-ის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;

გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;

განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული „მსს ფასს" სტანდარტის შესაბამისად;

ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვაზე და შენარჩუნებაზე;

ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოაჩენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ფინანსური ანგარიშგება შეესაბამებოდეს „მსს ფასს" სტანდარტის მოთხოვნებს;

სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქარრთველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

კომპანიის აქტივებისუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საქართველო. შპს „ბომ" 200267040 GEORGIA. "BOM" LTD

დირექტორი: შამილ ბაშბუღ

ბუღალტერი: ილია ხაზალია

ფინანსური მდგომარეობა:

| პერიოდი | 31.12.2021 წ. | 31.12.2022 წ. |
|---|---|---|
| **აქტივები** | ლარი | ლარი |
| ***მიმდინარე აქტივები*** | | |
| 1100 ფული სალაროში | 62105.81 | 12451.27 |
| 1200 ფული საბანკო ანგარიშებზე | 27922.55 | 80646.66 |
| 1290 მისაღები ფული (ტერმინალი) | 157.28 | 230.00 |
| 1410 სავაჭრო მოთხოვნები | 399088.37 | 452626.47 |
| 1490 სხვა მოთხოვნები (სესხის ძირი) | 0.00 | 0.00 |
| 1480, 1485, 3300 მომწოდებლებზე, საბაჟოზე, გადასახ. წინასწარ გადახდა | 73094.19 | 92687.64 |
| 1800 სხვა მოთხოვნები, დარიცხული მოთხოვნები | 33052.36 | 33052.36 |
| **სულმიმდინარე აქტივები** | **595420.56** | **249237.26** |
| ***სასაქონლო მატერიალური მარაგი*** | | |
| 1610 საქონელი | 576540.84 | 685685.00 |
| 1620 ნედლეული და მასალები | 0.00 | 0.00 |
| **სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგი** | **576540.84** | **685685.00** |
| ***გრძელვადიანი აქტივები*** | | |
| 2110 მიწის ნაკვეთები | 0.00 | 0.00 |
| 2130 შენობები | 0.00 | 0.00 |
| 2150 მანქანა დანადგარები | 0.00 | 0.00 |
| 2160 ოფისის აღჭურვილობა | 1083.77 | 452.41 |
| 2161 კომპიუტერული ტექნიკა | 0.00 | 0.00 |
| 2170 ავეჯი და სხვა ინვენტარი | 324.16 | 1219.92 |
| 2180 სატრანსპორტო საშუალებები | 439.01 | 1248.12 |
| 2190 სხვა აქტივები | 2315.14 | 2341.40 |
| **სულ გრძელვადიანი აქტივები** | **4162.08** | **5261.85** |
| **სულ აქტივები** | **1176123.48** | **1362641.25** |
| **კაპიტალი და ვალდებულებები** | | |
| ***მიმდინარე ვალდებულებები*** | | |
| 3110 მოწოდ. და მომს წარმოქმნილი ვალდებულებები | 261876.94 | 306124.62 |
| 3120 მიღებული ავანსები | 7987.50 | 820.10 |
| 3130 გადასახდელი ხელფასები | 0.00 | 0.00 |
| 3170 ვალდებულებები მეკავშირე საწარმოების წინაშე | 0.00 | 0.00 |
| 3210 სესხი | 0.00 | 0.00 |
| 3300 საგადასახადო ვალდებულებები | 14680.87 | 0.00 |
| 3410 დარიცხული ვალდებულებები | 7110.69 | 7110.69 |
| **სულ მიმდინარე ვალდებულებები** | **291656.00** | **314055.41** |
| ***გრძელვადიანი ვალდებულებები*** | | |
| 4140 გრძელვადიანი სესხები | 316504.04 | 307772.48 |
| **სულ გრძელვადიანი ვალდებულებები** | **316504.04** | **307772.48** |
| ***საკუთარი კაპიტალი*** | | |
| 5100 საწესდებო კაპიტალი | 200.00 | 200.00 |
| 5310 გაუნაწილებელი მოგება | 567763.44 | 740613.36 |
| **სულ საკუთარი კაპიტალი** | **567963.44** | **740813.36** |
| **სულ კაპიტალი და ვალდებულებები** | **1176123.48** | **1362641.25** |

დირექტორი: შამილ ბაშბუღ

ბუღალტერი: ილია ხაზალია

200267040

საქმიანობის შედეგები:

| პერიოდი | | 2021 წ. | 2022 წ. |
|---|---|---|---|
| ანგარიში | მუხლი | შემოსავალი | შემოსავალი |
| 6000 | საოპერაციო შემოსავალი | 2581933.86 | 2357154.38 |
| 8180 | კურსთა შორის სხვაობის | 39318.62 | 58981.89 |
| 8190 | სხვა არასაოპერაციო შემოსავალი | 7673.99 | 1701.35 |
| | საბოლოო მარაგი | 576540.84 | 685685.00 |
| **სულ შემოსავალი** | | **3205467.31** | **3103522.62** |
| | | ხარჯი | ხარჯი |
| | საწყისი მარაგი | 625372.61 | 576540.84 |
| | შეძენა | 1947170.75 | 1913400.66 |
| 7410, 7411, 7435(1) | ხელფასი, ერთჯ ხელშეკ, პერსონალის დაზღვ | 156582.09 | 169798.24 |
| 7420 | იჯარა | 82494.16 | 48138.96 |
| 7425, 7437 | მცირეფას, საოფისე ინვენტ და მისი რემ | 567.27 | 348.89 |
| 7426 | საკანცელარიო | 412.46 | 272.95 |
| 7430(2) | კომუნიკაცია | 842.13 | 1015.14 |
| 7430(1) | ინტერნეტი | 762.72 | 762.72 |
| 7447 | ელ. ენერგიის | 2840.88 | 2152.27 |
| 7427 | რეკლამა, პრომო საქონელი | 4981.34 | 3865.90 |
| 7435(2-4) | დაზღვევა(ქონების, ავტომ) | 2077.62 | 1998.20 |
| 7440 | ავტომობილთან დაკავშირებული | 1696.34 | 2373.37 |
| 7448 | ტენდერის | 620.00 | 910.80 |
| 7436 | მიმდინარე რემონტის | 0.00 | 145.84 |
| 7445.7449 | კომპიუტერის | 0.00 | 0.00 |
| 7470 | საბანკო | 6587.47 | 7091.98 |
| 7475 | წარმომადგენლობითი, მივლინება | 6282.32 | 338.98 |
| 7455 | ცვეთა ამორტიზაცია | 2635.88 | 2305.57 |
| 7465, 7490(13) | გადასახადების (ქონება, საპენსიო) | 2902.94 | 3119.94 |
| 7499 | მინების წმენდა | 475.00 | 326 |
| 7446 | დაცვა, სსა, 112 | 1609.41 | 1720.73 |
| 7490 | სხვა ხარჯები | 5301.32 | 5499.95 |
| | ***სულ საოპერაციო ხარჯი*** | ***2852215.71*** | ***2742127.93*** |
| 8210 | საპროცენტო | 33771.26 | 35127.54 |
| 8220(1) | კურსთაშორის სხვაობის | 25836.11 | 14611.23 |
| 8220(2) | ძირითადი საშუალ რეალიზაციიდან ზარალის | 0.00 | 0.00 |
| 8290 | სხვა არასაოპერაციო ხარჯი | 6570.00 | 0.00 |
| | ***სულ არასაოპერაციო ხარჯი*** | ***66177.37*** | ***49738.77*** |
| **სულ ხარჯი** | | **2918393.08** | **2791866.70** |
| **მოგების გადასახადის ხარჯამდე მოგება/ზარალი** | | **287074.23** | **311655.92** |
| **მოგების გადასახადის ხარჯი** | | **22291.08** | **20911.25** |
| **საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი** | | **264783.15** | **290744.67** |

დირექტორი: შამილ ბაშბუღ

ბუღალტერი: ილია ხაზალია

საქართველო. შპს "ბომს" 200267040 GEOR A. "BOMS" LTD

კაპიტალის მოძრაობა:

| | 2021 წელი | 2022 წელი |
|---|---|---|
| კაპიტალი პერიოდის დასაწყისში | 429496.13 | 567674.98 |
| ცვლილება საწესდებო კაპიტალში | 0.00 | 0.00 |
| ცვლილება გაუნაწილებელ მოგებაში | 138378.85 | 172938.38 |
| კაპიტალი პერიოდის ბოლოს | 567674.98 | 740613.36 |

დირექტორი: შამილ ბაშბუღ

ბუღალტერი: ილია ხაზალია

სპეციალური. შპს "ბომს" 200267040 GEORGIA. "BOMS" LTD

ფულადი სახსრების მოძრაობა:

| | | |
|---|---|---|
| ფულის ნაშთი - 01.01.2022 | 90028.36 | |
| **რეალიზაცია** | | |
| რეალიზაციიდან შემოსული თანხა (ბანკი - დებიტორი) | 1142212.90 | |
| რეალიზაციიდან შემოსული თანხა (სალარო) | 1414005.00 | |
| რეალიზაციიდან შემოსული თანხა (ბანკი - ტერმინალი) | 160298.28 | |
| *სულ რეალიზაციიდან მიღებული თანხა* | *2716516.18* | |
| **შესყიდვები** | | |
| პროდუქციის თვითღირებულება (უცხოელები) | | 1063037.40 |
| პროდუქციის თვითღირებულება (ადგილობრივი) | | 844260.06 |
| *სულ ძირითადი პროდუქტის შესყიდვაზე გადახდილი თანხა* | | *1907297.46* |
| ტრანსპორტირება საქართველომდე | | 61500.52 |
| დღგ იმპორტირებულ პროდუქციაზე | | 187332.60 |
| განბაჟება (გეზი, ტერმინალი) | | 4887.40 |
| *სულ პირდაპირი ხარჯები* | | *253720.52* |
| **საოპერაციო ხარჯი** | | |
| საპენსიო ფონდში გადახდილი თანხა | | 5995.10 |
| ხელფასი | | 133453.50 |
| გადასახადები (საშემოსავლო, დღგ, მოგება, ქონება) | | 153533.68 |
| იჯარა | | 56722.96 |
| კომუნალურები | | 2401.79 |
| ტრანსპორტი (საწვავი და სხვა) | | 20981.00 |
| საოფისე ხარჯები | | 3186.23 |
| მივლინება, წარმომადგენლობითი ხარჯები | | 0.00 |
| დაზღვევა | | 2442.64 |
| ტენდერი | | 803.00 |
| მარკეტინგი, რეკლამა | | 128.00 |
| დაცვა | | 1632.00 |
| რემონტი, სათვალთვალო კამერები | | 0.00 |
| სხვა ხარჯი | | 5494.02 |
| ბანკის, ტერმინალის საკომისიო | | 6888.32 |
| *სულ პირდაპირი და საოპერაციო ხარჯი* | | *393662.24* |
| **საინვესტიციო გასავალი** | | |
| ინვენტარის შესყიდვა | 950.00 | |
| ავტომობილის შესყიდვა | 11320.00 | |
| *სულ საინვესტიციო გასავალი* | *12270.00* | |
| **შემოსავალი ფინანსური აქტივობიდან** | | |
| სესხი დამფუძნებლისგან | 113245.09 | |
| სესხი ბანკიდან | 475335.10 | |
| შემოსავალი (კურსის ცვლილება) | 3642.22 | |
| *სულ ფინანსური აქტივობიდან მიღებული თანხა* | *592222.41* | |
| **გასავალი ფინანსური აქტივობიდან** | | |
| ბანკის სესხის ძირი | | 473164.46 |
| ბანკის სესხის პროცენტი და სესხის გაცემის საკომისიო | | 35127.54 |
| დამფუძნებლის სესხის ძირი | | 112282.95 |
| გასავალი (კურსის ცვლილება) | | 6143.85 |
| დივიდენდის გაცემა | | 112000.00 |
| *სულ ფინანსური აქტივობიდან გასული თანხა* | | *738718.80* |
| ფულის ნაშთი - 31.12.2022 | 93097.93 | |

დირექტორი შამილ ბაშბუღ

ბუღალტერი ილია ხაზალია

ფინანსური მდგომარეობის ახსნა განმარტებითი შენიშვნები საწარმოს შესახებ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს „ბომს“ (ს.ნ. 200267040) რეგისტრირებულია საქართველოში მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად 2008 წლის 07 აგვისტოს;

დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებულია 2009 წლის 21 იანვრიდან;

იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, წერეთლის გამზ. N97;

საიდენტიფიკაციო ნომერი: 200267040;

დამფუძნებელი (100%იანი წილით) არის შამილ ბაშბუღ (პ.ნ.01092003912);

წარმომადგენელი ხელმძღვანელობაზე (დირექტორი) არის შამილ ბაშბუღ (პ.ნ.01092003912);

შპს „ბომს“-ის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო და საბითუმო ვაჭრობა ავტომობილების ნაწილებით და აქსესუარებით (კერძოდ აკუმულატორებით და ბატარეებით).

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2022 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს „მსს ფასს“-ზე გადასვლის შემდეგ, არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელიც გამოიყენებული იყო წინა საანგარიშო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით, ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციები კორექტირების აუცილებლობას არ წარმოადგენს.

დაფუძნების თარიღის მიუხედავად სამეურნეო ოპერაციების განხორციელება კომპანიამ დაიწყო 2009 წლის იანვრიდან, და ამ მომენტიდან იყენებს „მსს ფასს“ სტანდარტს.

3.1. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა ლარი.

კომპანია რეალიზაციას ახორციელებს როგორც ნაღდი ანგარიშსწორებით ასევე უნაღდოდ (საბანკო გადარიცხვა, პოს ტერმინალი) მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში და ისინი აღრიცხულია შესაბამის ანგარიშებზე. იმ რეალიზაციით მიღებული ფულადი სახსრები (პოს ტერმინალით გადახდები), რომელთა ასახვაც საბანკო ანგარიშზე ხდება მომდევნო საანგარიშო პერიოდში აღრიცხულია 1290 ანგარიშზე - მისაღები ფული.

ვინაიდან კომპანიას სარეალიზაციოდ მიღბული პროდუქცია იმპორტის შედეგადაა მიღებული, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების აღრიცხვა ხდება ვალდებულების წარმოქმნის და ანგარიშგების დღეს არსებული ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის შესაბამისად. კომპანიის საოპერაციო და ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები ასახულია ცალ-ცალკე პირდაპირი მეთოდით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტების ნაშთები, შესაბამის ანგარიშებზე ასახულია საანგარიშო წლის ბოლოსთვის - 31 დეკემბერს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით. კურსთა შორის სხვაობები აისახება მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიშებში.

### 3.2. სავაჭრო მოთხოვნები

საცალო რეალიზაციის გარდა კომპანიის შემოსავლების ძირითად ბირთვს წარმოადგენს საბითუმო რელიზაცია, რისთვისაც თანამშრომლობს როგორც დედაქალაქში ასევე რეგიონებში განთვსებულ სავაჭრო ობიექტებთან. აღნიშნული საქმიანობა ძირითადად ხორციელდება კონსიგნაციის ფორმით, რაც თვის მხრივ იწვევს სავაჭრო მოთხოვნების მუდმივად წარმოქმნას და შესაბამის ანგარიშებზე მიწოდების მომენტში საკომპენსაციო თანხით აღრიცხვას. 2022 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის მიმართ პროდუქციის მიწოდების შედეგად დებიტორული დავალიანება ერიცხებოდა 121 საწარმოს (როგორც იურიდიული პირები ასევე მეწარმე ფიზიკური პირები), რომელთა დავალიანებაც აღრიცხულია 1410 ანგარიშზე. ამდენად დებიტორული დავალიანებები არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობის (აკუმულატორების და ბატარეების რეალიზაცია) შედეგად მომხმარებლისგან მისაღები თანხები. შესაბამისად ისინი კლასიფიცირდებიან მოკლევადიან აქტივებად.

კომპანია საქმიანობიდან გამომდინარე თანამშრომლობს რამდენიმე მომწოდებელთან. მათ შორის ზოგიერთთან თანამშრომლობა ხორციელდება წინასწარი გადახდის სისტემის გამოყენებით. იმპორტის განხორციელებისას საბაჟოზე ხორციელდება შესაბამისი გადასახადებისა და მოსაკრებლების წინასწარი გადახდა. აღნიშნული გადახდები აღირიცხება შესაბამის ანგარიშებზე - 1480, 1485 და კლასიფიცირდებიან აგრეთვე მოკლევადიან აქტივებად.

2012-2013 წლებში კომპანიის მიერ მოხდა დირექტორზე (ამავდროულად დამფუძნებელი) სარგებლიანი სესხის გაცემა, რომლისგანაც მისაღები სარგებელიც თავის დროზე მიჩნეულ იქნა მოკლევადიან აქტივად აღრიცხვაც მოხდა შესაბამის 1820 ანგარიშზე.

### 3.3. მარაგები

სარეალიზაციოდ შეძენილი იმპორტირებული და ადგილობრივი მომწოდებლებისგან შეძენილი სასაქონლო მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აიღება შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს (გარდა საგადასახადო ორგანოების მიერ საწარმოსათვის დასაბრუნებელი გადასახადებისა - დღგ). კომპანის იჯარით აღებული აქვს მოლოდ ერთი მაღაზია საიდანაც ხდება რეალიზაცია და რამდენიმე საწყობი, რომელთა გამოყენებაც ხდება, მხოლოდ იმ საქონლის განთავსების მიზნით, რომელიც მაღაზიაში ვერ ეტევა. აღნიშნული მარაგები აღრიცხულია ცალ-ცალკე ანგარიშებსა და ქვეანგარიშებზე ლოკაციების და ასორტიმენტის მიხედვით, რაოდენობრივ თანხობრივად, საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

### 3.4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების აღიარება ხდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს ნასყიდობის ფასს, საიმპორტო-საბაჟო გადასახადებს, არადაბრუნებად გადასახადებს, დატვირთვა გადმოტვირთვისა და

ტრანსპორტირების ხარჯებს. ერთჯერადი გამოყენების საგნები, რომელთა გამოყენების ვადის საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია ბუღალტრულად აღიარდება ხარჯად.

ძირითადი საშუალებების ცვეთა ერიცხება ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით.

ძირითადი საშუალებების გამოწენების ვადები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

| ჯგუფი | ვადა |
|---|---|
| შენობება-ნაგებობები | 20 წელი |
| ავტომობილები | 5-6 წელი |
| ოფისის აღჭურვილობა, კომპ. ტექნიკა | 5-6 წელი |
| ავეჯი | 5-6 წელი |
| სხვა ძირითადი საშუალებები | 7-8 წელი |

მოხმარებისთვის განკუთვნილი სამეურნეო საკანცელარიო დანიშნულების საქონელი შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში - საკანცელარიო ხარჯად. მცირეფასიანი ინვენტარი და ნივთები გადაცემისთანავე კლასიფიცირდება საოფისე, მცირეფასიანი ინვენტარის ხარჯებად, ასევე კომპიუტერული ტექნიკის, ავტომობილის, მანქანა-დანადგარების ექსპლუატაციისათვის აუცილებელი ნივთები შესყიდვისთანავე მიეკუთვნება შესაბამის ხარჯებს.

3.5. მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები

კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე იმ უცხოელ მომწოდებლებთან წარმოქმნილი ვალდებულებები, რომელთაგანაც სარეალიზაციო პროდუქციის შეძენა მოხდა შემდეგი გადახდის პირობით, ვალდებულების აღრიცხვა ხდება შესაბამის ანგარიშებზე და შესაბამის ვალუტაში პროდუქციის მოწოდების დღისთვის არსებული ეროვნული ბანკის კურსით, ხოლო ადგილობრივი მომწოდებლებისგან პროდუქციისა და მომსახურების შეძენისას - ლარში. უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულების და მათი ექვივალენტების ნაშთები, შესაბამის ანგარიშებზე ასახულია საანგარიშო წლის ბოლოსთვის - 31 დეკემბერს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით. კურსთა შორის სხვაობები აისახება მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიშებში. ამდენად, მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები მიმდინარე პერიოდის მოვალეობაა, რომელიც დარიცხის მეთოდით წარმოიქმნება საქონლის მოწოდების ან/და მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით.

3.6 მიღებული ავანსები

როგორც წესი კომპანია ბიზნეს საქმიანობის წარმართვისას, კონტრაგენტებს არ თხოვს წინასწარ გადახდას, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც კონკრეტული კონტრაგენტისგან ხდება განსაკუთრებული შეკვეთის მიღება. ამ შემთხვევაში კონტრაგენტის მიმართწარმოქმნილი ვალდებულება აღირიცხება შესაბამის ანგარიშებზე - 3120, მიღებული ფულადი სახსრების მოცულობით. ამავე ანგარიშზე ხდება კონტრაგენტის მიერ შეცდომით ან ზედმეტად ჩარიცხული ფულადი სახსრების აღრიცხვა. 2022 წლის 31 დეკემბრისთვის მიღებული ავანსების ანგრიშზე აღრიცხულია 7 კონტრაგენტის მიერ ზედმეტად ან შეცდომით სხვადასხვა დროს ჩარიცხული ფულადი სახრების ნაშთი ჯამურად.

3.7 საგადასახადო ვალდებულებები

კომპანიის საგადასახადო ვალდებულებას 31.12.2022 წლისთვის შედგება საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული დარიცხული საგადასახადო ვალდებულებებისგან.

3.8 დარიცხული ვალდებულებები

კომპანიის ბიზნეს საქმიანობიდან გამომდინარე საჭიროების შემთხვევში ხდება დირექტორისგან (დამფუძნებელი) ფულადი სახსრების სარგებლიან სესხად მიღება როგორც ლარში ასევე უცხოურ ვალუტაში. სწორედ ამგვარი სესხის მიღებისას ხდება დარიცხული სარგებლის (შესაბამის ვალუტაში და ექვივალენტში) მიჩნევა მიმდინარე ვალდებულებად და აღრიცხვა დარიცხული ვალდებულებების ანგარიშზე - 3410.

3.9 გრძელვადიანი ვალდებულებეი

2022 წლის განმავლობაში ს.ს. პროკრედიტ ბანკთან კომპანიის თანამშრომლობამ მოიცვა ხუთი სხვადასხვა სესხის მომსახურება, რომელთაგან ორი სესხი იყო დოლარში, ხოლო სამი - ლარში. აღნიშნული სასესხო ვალდებულებების ძირი თანხის (შესაბამის ვალუტასა და ექვივალენტში) აღრიცხვა ხდება გრძელვადიანი სესხების ანგარიშზე - 4140.

3.6. შემოსავლის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება, როცა კომპანია მყიდველს გადასცემს საქონელს საკუთრებაში, შესაძლებელია ამონაგები თანხის საიმედოდ განსაზღვრა და შესაბამისად მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს სარგებელს. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები საზღაურის რეალური ღირებულებით.

3.7. ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით და მოგება/ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება, თუ ის იწვევს მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

3.8. შრომის ანაზღაურება

შრომის ანაზღაურება წარმოებს დროითი სისტემით, შრომის კანონმდებლობის და კომპანიის მიერ დადგენილი საშტატო განაკვეთების შესაბამისად. ბოლო ათი წლის განმავლობაში კომპანიაში დასაქმებულია ერთიდაიგივე 9 თანამშრომელი.

4. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენებს რომელიც ზეგავლენას მოახდენდა ანგარიშგაბაზე, ადგილი არ ჰქონია.

დირექტორი: შამილ ბაშბუღ

ბუღალტერი: ილია ხაზალია

200267040
GEORGIA